171
1974

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კ რ ე ბ უ ლ ი

## 6

# С Б О Р Н И К

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
### МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ი ვ ნ ი ს ი

თბილისი 1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

**ფასი 10 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX-74 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5.

შეკვ. № 726 უე—05919 ტირაჟი 5.000.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი
10 აპრილი, 1974 წელი

# დებულება

## ცალკეული სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული თეორიული და პრაქტიკული სწავლების სკოლებისა და კლასებისათვის

### I. ზოგადი დებულებანი

1. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ცალკეული სასწავლო დისციპლინების (ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური პროფილებით) გაღრმავებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებით უზრუნველყოფს სკოლადამთავრებულებს არჩეულ სასწავლო დისციპლინებში გაღრმავებული ცოდნითა და ჩვევებით, უვითარებს შემოქმედებით ნიჭს ინტერესებისა და მიდრეკილებათა შესაბამისად, ხელს უწყობს პროფესიის შეგნებულად არჩევას. თავის მუშაობაში სკოლა ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებით, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ამ დებულებით.

2. სკოლები (კლასები) და აგრეთვე სკოლა-ინტერნატები, ცალკეული სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებით, იხსნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ კვალიფიციური კადრებისა და საჭირო სასწავლო მატერიალური ბაზის არსებობის შემთხვევაში „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" ზემდგომი ორგანოების არსებული

დადგენილების შესაბამისად, მათ უშუალოდ ხელმძღვანელობენ და აფინანსებენ შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სკოლები, ცალკეული სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული და პრაქტიკული სწავლებით, იხსნება IX—X (XI) კლასების შემადგენლობით ქალაქის, რაიონის განათლების განყოფილების გადაწყვეტილებით. სკოლაში დასაშვებია გაღრმავებული სწავლების შემოღება ერთდროულად რამოდენიმე საგანში.

მოსწავლეთა რაოდენობა თითოეულ კლასში არ უნდა აღემატებოდეს 35 კაცს. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შრომითი სწავლების პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად კლასი, რომელშიც მოსწავლეთა რაოდენობა 25-ს აღემატება, იყოფა ორ ჯგუფად.

## II. სკოლაში მოსწავლეთა მიღების წესი

4. ცალკეული სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული თეორიული და პრაქტიკული სწავლების სკოლის IX კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს ყოველი წლის ივნის-აგვისტოში მოსწავლეთა განცხადების საფუძველზე, მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა თანხმობისა და მოსწავლის ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო დასკვნით.

ცალკეული საგნების გაღრმავებული სწავლების ქალაქების სკოლებსა და კლასებში მიღება წარმოებს სკოლის მიკრორაიონის გაუთვალისწინებლად. ინტერნატის არსებობის დროს სკოლებისა და კლასების დაკომპლექტება ხდება რაიონის სკოლების მოსწავლეებით.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ სკოლაში ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი აღემატება მისაღები კონტინგენტის რაოდენობას, კლასის დაკომპლექტება წარმოებს 8-წლიანი სკოლის დამთავრების მოწმობაში მოცემული ნიშნების გათვალისწინებით. გასაუბრების საფუძველზე ვლინდება მოსწავლის ინტერესი და არჩევანისადმი შეგნებული მიდგომა. დაუშვებელია რაიმე შემმოწმებელი გამოცდების ჩატარება.

ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში დასაშვებია მოსწავლეთა დამატებითი ჩარიცხვა სასწავლო წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული სწავლების სკოლებისა და კლასების იმ მოსწავლეებს, რომლებიც რაიმე მიზეზების გამო ვერ შეძლებენ ამ სკოლებში სწავლას, უფლება ეძლევათ გადავიდნენ ძირითადი სასწავლო გეგმით მომუშავე სკოლებში.

## II. სასწავლო პროცესის შინაარსი და ორგანიზაცია

7. ცალკეული სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებიანი სკოლები (კლასები) მუშაობენ იმ სასწავლო გეგმებით, რომლებიც იქმნება ამ სკოლებისათვის განკუთვნილი ტიპობრივი სასწავლო გეგმების შესაბამისად და მტკიცდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

8. ყველა სხვა სასწავლო დისციპლინის სწავლება, რომლებიც გაღრმავებულად არ ისწავლება, ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთიანი პროგრამით. მათი შესწავლისათვის განკუთვნილი დროის შემოკლება არ შეიძლება.

საგნების გაღრმავებული სწავლება ხდება იმ სასწავლო გეგმების მიხედვით, რომლებიც იქმნება ტიპური პროგრამის შესაბამისად და მტკიცდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

9. მოსწავლეთა ცოდნა ყველა საგანში ფასდება საერთო წესით.

10. ცალკეული სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული თეორიული და პრაქტიკული სწავლების სკოლებში შრომითი სწავლება ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამით. ზოგ შემთხვევაში სასწავლო გეგმით შრომითი სწავლებისათვის განკუთვნილი საათები გამოიყენება პრაქტიკული მეცადინეობისათვის (შრომითი პრაქტიკუმებისათვის) გაღრმავებული სწავლების საგნებში.

11. ამ ტიპის სკოლებში (კლასებში) კლასგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა ხორციელდება არჩეული სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით (ოლიმპიადების, კონკურსების ჩატარება, წრეობრივი მუშაობა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან შეხვედრები და სხვ.).

12. ამგვარ სკოლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილი სასწავლო კაბინეტების გარდა, უნდა იქნეს მოწყობილი იმ საგნების კაბინეტები, რომლებიც გაღრმავებული სწავლებისათვისაა არჩეული.

13. სკოლის ბიბლიოთეკა, მისთვის გათვალისწინებული წიგნების გარდა, კომპლექტდება სასწავლო და სასწავლო-პოპულარული ლიტერატურით სკოლის პროფილის მიხედვით.

14. სკოლა მუდმივ საქმიან კავშირშია მისი პროფილის მქონე წარმოება დაწესებულებებთან.

იმ მასწავლებლების დასახმარებლად, რომლებიც ასწავლიან გაღრმავებული სწავლების სპეციალური კურსის საფუძვლებს და აგრეთვე მოსწავლეებთან მეცადინეობის ჩასატარებლად იწვევენ უნივერსიტეტების, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების თანამშრომლებს.

## IV. პედაგოგიური პერსონალი და სკოლის სხვა მუშაკები

15. ცალკეული საგნების გაღრმავებული სწავლების სკოლების მთელ საქმიანობაზე ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, რომელიც ინიშნება დადგენილი წესით.

16. სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ინიშნება ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების მიერ სკოლის დირექტორის წარდგენით იმ მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთაგან, რომელთაც აქვთ სკოლის პროფილის შესაბამისი უმაღლესი სპეციალური განათლება.

მასწავლებლები, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორი, უფროსი პიონერხელმძღვანელი, სკოლის ბიბლიოთეკარი ინიშნებიან დადგენილი წესით.

17. ცალკეული საგნების გაღრმავებული სწავლების სკოლების (კლასების) მასწავლებლები, როგორც წესი, თავიანთ კვალიფიკაციას იმაღლებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მიერ მოწყობილ კურსებსა და სემინარებზე.

სკოლების სამმართველოს
უფროსი რ. კანდელაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Министр просвещения СССр
„27" марта 1974 г. № 31-М
Москва, М -162, Шаболовка, 49
Тел. 232-03-54

Министерствам просвещения (народного образования) Союзных и автономных республик, краевым, областным и районным отделам народного образования, ректорам педагогических институтов

## О стажировке молодых специалистов, окончивших высшие педагогические учебные заведения

В соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 18 июля 1972 года № 535 „О мерах по дальнейшему совершенствованию высшего образования в стране" и Положением о стажировке молодых специалистов, окончивших высшие учебные заведения, утвержденным Государственным Комитетом Совета министров СССр по вопросам труда и заработной платы, Всесоюзным Центральным Советом ПроФессиональных Союзов и Министерством высшего и среднего специального образования СССР в июне 1973 года, Министерство просвещения СССР разьясняет, что стажировка выпускников педагогических институтов вводится с 1974/75 учебного года по месту их распределения (преимущественно в общеобразовательных школах, во внешкольных учреждениях, профессионально-технических и педагогических училищах, в дошкольных и других учебно-воспитателных учреждениях) сроком на 10 месяцев, в течение которого молодые специалисты выполняют должностные обязанности и получают заработную плату согласно штатному расписанию.

Время стажировки включается в трехлетный обязательный срок работы мододого специалиста по месту распределения. Периоды длительного отсутствия на работе (в связи с

болезнью, отпуском по беременности и родам, призывом на военные сборы и т. п.) в срок стажировки не засчитываются. В случае перерыва в стажировке срок её может быть продлен.

Молодые специалисты, получившие право самостоятельного трудоустройства, при поступлении на работу по специальности, полученной в вузах, проходят стажировку на общих основаниях.

Выпускники высших учебных заведений, не прошедшие стажировку по каким- либо причинам (служба в Вооруженных силах СССР, болезнь и др.), при поступлении не работу по специальности обязаны пройти стажировку в течение первого года работы.

От прохождения стажировки освобождаются молодые специалисты, зачисленные на должности стажеров-исследователей в научно-исследовательских учреждениях и высших учебных заведениях и на должности стажеров-преподавателей в высших учебных заведениях.

Молодые специалисты, получившие высшее педагогическое образование по вечерней или заочной формам обучения, имеющие к моменту окончания вуза стаж педагогической работы не менее одного года, могут быть также освобождены от прохождения стажировки с учетом характера работы по избранной специальности.

В период стажировки молодой специалист пользуется всеми правами и льготами, установленными для работников данного учреждения, занимающих аналогичные должности: несёт обязанности, возложенные на него трудовым договором и правилами внутреннего распорядка; выполняет функциональные обязанности по занимаемой должности, определенные уставом средней общеобразовательной школы, а также соответствующими положениями и инструкциями.

Молодой специалист проходит стажировку по индивиидуальному плану, разработанному согласно программе стажировки и применительно к условиям работы в данном учебном заведении (учебно-воспитательном учреждении).

По источении срока стажирпвки молодой специалист представляет письменный отчет, в котором отражается выполнение индивидуальното плана, участие в научно-исследо-

вательской и методической работе, в общественно-политической жизни коллектива.

Общее руководство стажировкой осуществляется министерствами просвещения (народного образования) союзных, автономных республик и ведомствами, имеющими в своем подчинении учебные заведения (учебно-воспитательные учреждения), в которых проходят стажировку выпускники педагогических институтов.

Республиканские министерства просвещения (народного образования) и ведомства ежегодно анализируют и обобщают результаты стажировки и доводят их до сведения Министерства просвещения СССР, широко используя для этого краевые, областные и городские отделы народного образования, управления по профессионально-техническому образованию, институты усовершенствования учителей.

Ответственность за проведение стажировки выпускников педагогических институтов по месту распределения возлагается в общеобразовательных школах, средних специальных и профессионально-технических учебных заведениях на директора или его заместителя по учебной работе. В дошкольных и внешкольных учреждениях—на заведующего (директора) или методиста.

Учреждения, где проходят стажировку молодые специалисты, организуют выпускников в соответствии с данной инструкцией и работ индивидуальными планами стажеров.

Директор (заведующий) или его заместитель (или методист) создает молодым учителям (воспитателям) необходимые условия для выполнения плана стажировки; знакомит стажера с учебным заведением (учебно-воспитательным учреждением), правилами внутреннего распорядка, педагогическим коллективом; назначает из числа лучших учителей (воспитателей) соответствующей специальности непосредственных руководителей стажировки и контролирует их деятельность (руководство стажировкой может осуществляться также директором школы (внешкольного учреждения) или его заместителем; в малокомолетных школах и детских дошкольных учреждениях, где отсутствуют специалисты с высшим обра-

зованием, руководство стажером осуществляется непосредственно работником аппарата районо или гороно, методического кабинета или института усовершенствования учителей); утверждает индивидуальный план стажировки молодого специалиста; посещает отдельные уроки и воспитательные мероприятия, проводимые стажером; принимает участие в обсуждении педагогической и общественной деятельности стажера; ежегодно подводит итоги стажировки и разрабатывает мероприятия по её дальнейшему совершенствованию; отчитывается об организации, результатах стажировки с оценкой качества подготовки специалиста на комиссии подведению итогов.

Представители районо, управления по профессионально-техническому образованию проводят инструктивную беседу со стажерами; контролируют руководство стажерами со стороны руководителя (или его заместителя); участвуют в подведении итогов стажировки.

Непосредственный руководитель стажировки молодого специалиста разрабатывает совместно с ним индивидуальный план работы и представляет его на утверждение директору (заведующему) или его заместителю (методисту); оказывает стажеру повседневную помощь в приобретении профессионально-педагогических знаний, умений и навыков, проводит с ним необходимую воспитательную работу; контролирует выпольнению индивидуального плана стажировки; составляет развернутую характеристику молодого специалиста, которая отражает степень подготовки молодого учителя (воспитателя), полученные в ходе стажировки практические и организаторские навыки, активность в выполнении производственных знаний и участие в общественной жизни коллектива; представляет руководителю учебного заведения (дошкольного или внешкольного учреждения) предложения о дальнейшем совершенствовании стажировки молодых специалистов.

Для подведения итогов стажировки молодого специалиста городские и районные отделы народного образования совместно с учебными заведениями (учебно-воспитательными учреждениями) назначают комиссию, в состав которой входят: представителя районо (гороно) или другого соответствующе-

го ведомства; руководитель учебного заведения (учебно-воспитательного учреждения) или его заместитель (методист — в детском саду), непосредственный руководитель стажера, представитель общественной организации. По возможности к работе комиссий привлекаются представители педагогического института, в котором обучался стажер.

Комиссия на основании отчета стажера, квалификационной характеристики руководителя (в присутствии стажера) и информации директора (или его заместителя) учебного заведения (учебно-воспитательного учреждения) или заведующего детским садом (или методиста) выносят решение о дальнейшем наиболее рациональном использовании учителя (воспитателя). При этом учитывается его политическая грамотность, теоретическая подготовка и морально-этические качества.

По итогам стажировки руководителем учреждения издается приказ о результатах прохождения стажировки молодым специалистом.

Материалы направляются в министерства и ведомства по подчиненности, а также в высшие учебные заведения, которые оканчивали молододые специалисти.

М. Прокофьев

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОГЛАСОВАНО:
Начальник учебно-методического управления по высшему образованию министорства высшего и среднего специального образования СССР

А. Богомолов

12. 03. 1973 г.

Приложение
к Инструктивному письму от
27 марта 1974 г. № 21-М

УТВЕРЖДАЮ:
заместитель Министра
просвещения СССР

Ф. Паначин

20. 03. 1974 г.

# ПРОГРАММА

## стажировки випускника педагогического института*

### I. Основные задачи стажиРовки

Задачами стажировки выпускников педагогического института являются:

Приобретение практических навыков, необходимых для педагогической работы по занимаемой должности;

умение применять теоретические знания, полученные в педагогическом институте, в конкретной практической работе;

приобретение и совершенствование педагогических навыков воспитательной работы с детьми;

изучение передового педагогического опыта и дальнейшее освоение разнообразных методов и современных технических средств обучения, активизирующих познавательную деятельность учащихся;

выявление деловых качеств молодого специалиста в

---

*) Выпускики университетов, направленные на работу в систему просвещения, проходят стажировку по данной программе.

целях наиболее рационального исползования его в системе народного образования.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### II. Содэржание стажировки молодого учителя

В процессе стажровки молодой учитель должен обнаружить степень владения политическими знаниями, знаниями в области психологии и педагогики, своего предмета, методикой преподавания школьного предмета и воспитательной работы.

За время прохождения стажировки молодой учитель должен проявить себя во всех важнейших формах работы учителя.

#### а) Учебная работа

Стажер должен:

изучить принципы перспективного и текущего планирования учебно-воспитательного процесса в школе и принять посильное участие в планировании работы школы;

в течение учебного года планировать учебно-воспитательную работу по своему предмету;

разрабатывать поурочные планы и представлять их на утверждение своему руководителю;

планировать внеклассную работу в соответствии с планом воспитательной работы школы;

в учебной работе на уроке исползовать различные методы, методические приемы, формы и средства, активизирующие познавательную деятельность учащихся (рассказ, беседа, лекция лабораторное занятие, руководство самостоятельной работой учащихся, эксперимент, демонстрация, исползование учебного кино, телепередачей, магнитофонных записей и т. д.);

оказывать индивидуальную помощь учащимся по своему предмету;

организовывать и проводить внеклассную работу по предмету в форме фронтальной (экскурсий, просмотр учебных научно-популярных фильмов, конференций, лекций и др.), групповой (кружок,олимпиада, туристский поход, диспут и др.) и индивидуальной работы с учащимися;

принимать участия в организации и проведении факультативных занятий (желательно руководство и проведение одного факультатива или нескольких его занятий);

участвовать в оформлении кабинетов школы и в организации работы в них учащихся:

активно участвовать в организации одного из общешкольных мероприятий по своему предмету (тематический вечер, юбилейные дни, день здоровья, день птиц, праздник урожая и др.),

### б) Методическая работа

Стажер—молодой учитель;

входит в состав школьного и районного методических объединений и принимает активное участие в их работе;

с помощью своего руководителя выбирает и разрабатывает одну методическую тему и пишет по ней реферат; реферат обсуждается на заседании школьного или районного методических объединениях;

изучает лабораторное оборудование, технические средства обучения и наглядные пособия школы с последующим использованием их в учебной работе;

посещает уроки опытных учителей по своему предмету, участвует в анализе; изучает педагогический опыт одного из высококвалифицированных учителей школы;

за время стажировки дает не менее 2-х открытых уроков;

проводит анализ знаний учащихся, используя различные формы вопроса (контрольные работы, зачеты, устный индивидуальный и фронтальный опросы и др.); оформляет результаты в соответствии с планом работы школы;

систематически знакомится с педагогической и методической литературой и участвует в ее обсуждении.

### в) Работа классного руководителя

Стажер должен выполнять работу классного руководителя*).

---

*) В случае непредоставления стажеру должности классного руководителя, он выполняет функции помощника классного руководителя.

Для этого стажер:

изучает состав класса (документацию, состав родителей и др,) и индивидуальные особенности учащихся, составляет психолого-педагогическую характеристику класса и предоставляет ее своему руководителю;

на основе изучения состава класса добивается единства педагогических требований к учащимся со стороны учителей и родителей;

организует детский коллектив с учетом возрастных и психологических особенностей, добивается сплоченности, активности, инициативы и творчества у учащихся;

· проводит классные собрания, участвует в сборах пионерских отрядов и комсомольских собраниях.

проводит мероприятия, направленные на расширение культурного кругозора и укрепления здоровья учащихся (посещение театра, музея, выставки, водного бассейна, прогулки в лес, спортивные мероприятия и др,

в соответствии с общешкольным планом организует шефскую работу;

организует различные формы общественно-полезного труда учащихся (участие в деятельности ученических производственных бригад, школьных лесничеств, студенческих строительных отрядов, мероприятий районного и городского масштабов);

организует профориентационную работу среди учащихся и принимает в ней непосредственное участие;

работает с родителями учащихся: поддерживает с ними регулярную связь, проводит родительские собрания, организует лекции для родителей на педагогические темы.

### III. Содержание стажировки выпускника факультета дошкольного воспитания

Стажировка выпускников факультетов дошкольного воспитания проводится в детских дошкольных учреждениях, отделах народного образования, в педагогических училищах

Стажер выполняет весь объем работы в соответствии с занимаемой должностью.

Стажировка в детских дошкольных учреждениях включает:

Развитие навыков планирования воспитательного процесса с детьми дошкольного возраста;

умение самостоятельно проводить разнообразные виды воспитательной работы, опираясь на знания детской психологии, дошкольной педагогики, возрастной физиологии и частных методик;

Применение различных методов, направленных на творческое решение задач коммунистического воспитания и всестороннее развитие детей.

За время стажировки молодой специалист должен научиться проводить различные воспитательные мероприятия с дошкольниками (экскурсий, вечера досуга, встречи старших детей с младщими и др.).

Стажер должен уметь анализировать и обобщать передовой педагогический опыт, принимать участие в работе педагогических совещаний, регулярно проводить работу с родителями, организовывать родительские собрания, коллективные и индивидуальные беседы и консультации в учреждении при посещении детей на дому и др. За время стажировки молодой воспитатель готовит один-два реферата по проблемам дошкольного воспитания.

При прохождении стажировки в районных (городских, областных) отделах народного образования молодой специалист по дошкольному воспитанию овладевает навыками планирования и проведения методической работы, организации деятельности детских дошкольных учреждений, участвует в организации повышения квалификации воспитателей, изучает и обобщает передовой опыт дошкольного воспитания и представляет реферат по одной из проблем дошкольного воспитания.

При направлении выпускника факультета дошкольного

воспитания на работу в педагогические учили-ща в период стажировки он выполняет все обязанности преподавателя; проводит различного типа занятия, дает не менее двух открытых уроков, участвует в работе методических комиссий, в обсуждении занятий других преподавателей, ведет воспитательную работу с учащимися, изучает передовой педагогический опыт, представляет один-два реферата по проблемам дошкольного воспитания.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 17 აპრილის ბრძანება № 321

### 1974 წლის IV კვარტალში სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის შესახებ

ადგილებზე ჩატარებული შემოწმებებითა და განათლების სა-
მინისტროში შემოსული მასალებით ირკვევა, რომ ამ ბოლო დროს
სკოლა-ინტერნატებსა, საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-
ინტერნატებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღსაზრდელთა კვება.
სავაჭრო ორგანიზაციები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ინ-
ტერნატული დაწესებულებების კვების პროდუქტებით მომარაგების
საქმეს.

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სასურსათო საქონლით
მომარაგება და აღსაზრდელთა კვება გურჯაანის, კაჭრეთის, თბი-
ლისის ფიზიკა-მათემატიკური, ატენისა და თეთრი წყაროს სკოლა-
ინტერნატებში, კარდანახის, ონის, თელავის, ჩოხატაურისა და ეწე-
რის საბავშვო სახლებში, მიუსერას დამხმარე სკოლა-ინტერნატში.
მაგრამ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რესპუბლიკის მთელ
რიგ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში ჯერ. კიდევ სა-
თანადო სიმაღლეზე არ დგას აღსაზრდელთა კვების საქმე, იგი
ერთფეროვანია და არ შეესაბამება დადგენილ ნორმებსა და სახე-
ებს. დირექტორები. მათი მოადგილეები, ექიმები და მზარეულები
სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მენიუს შედგენასა და
თითოეული ბავშვის კუთვნილი პროდუქტების გაანგარიშების საქ-
მეს. ხშირად მენიუში არ გამოჰყავთ მზა კერძების გამოსავლიანო-
ბა და კალორიულობა, რაც შეუძლებელს ხდის იმის დადგენას,
ღებულობს თუ არა თითოეული აღსაზრდელი დღიური ნორ-
მით გათვალისწინებულ კალორიებს.

ზოგიერთი რაიონის სავაჭრო ორგანიზაციები არარითმულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამარაგებენ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს პროდუქტებით: მაგალითად, ახმეტის, გარდაბნის № 1 სკოლა-ინტერნატებს, ქობულეთის სატყეო სკოლა სანატორიუმს, კოჯრის № 1 და № 3 საბავშვო სახლებს რამოდენიმე თვის განმავლობაში არ მიუღიათ ყველი, ახალი რძე, ლობიო; სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატი იშვიათად ღებულობს ახალ ხორცს, თევზსა და ა. შ.

ლენინგორის სკოლა-ინტერნატს 1973 წლის IV კვარტალში სავაჭრო ორგანიზაციებმა დააკლეს ახალი ხილი—3118 კგ; თევზი —483 კგ; ბაღუშერას სკოლა-ინტერნატს—445 კგ კარტოფილი; 1890 კგ ბოსტნეული, 3750—კვერცხი; კაჭრეთის სკოლა-ინტერნატს—ბოსტნეული—2600 კგ, ახალი ხილი—2229 კგ, თევზი—641 კგ. მცენარეული ზეთი—99 კგ (60%), კვერცხი—5105 ცალი (60%).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს აღსაზრდელებზე გასაცემი პროდუქტების მითვისებას, მაგალითად: თბილისის № 8 ბავშვო სახლში შეფ-მზარეულმა აღსაზრდელებს დააკლო 400 გრ კარაქი, ხოლო ლრაანდის სკოლა ინტერნატში—530 გრამი.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ერთი ნაწილი დროულად არ ადგენს განათლების სამინისტროში ცნობებს კვების პროდუქტების ათვისების შესახებ. 1974 წლის 10 იანვრამდე წარმოსადგენი ცნობები 4 თებერვლისათვის წარმოდგენილი არ ჰქონდათ: ახალციხის № 1, ახმეტის, ბაღუშერას, რუსთავის, კირნათის სკოლა-ინტერნატებს, ხოლო მესტიის, ახალქალაქის, ინგირისა და ცხინვალის სკოლა-ინტერნატებს—14 თებერვლისათვის.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებს:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესონ სამზარეულოს მუშაობაზე, ზუსტად განსაზღვრონ თითოეული კერძის გამოსავლიანობა და კალორიულობა, მიაღწიონ იმას, რომ აღსაზრდელები უკლებლივ ღებულობდნენ დღიური ნორმით გათვალისწინებულ ულუფას;

ბ) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით გადამჭრელი ზომები მიიღონ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სკოლა-

ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მომარაგების საქმეში და-
ვებული შეფერხების აღსაკვეთად და მიაღწიონ გამოყოფილი
სათო ფონდების სრულად ათვისებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ყოველი კვარტალის დამთავრებიდან არაუგვიანეს 10 დღისა
განათლების სამინისტროს სათანადო განმარტებებით წარმოუდგი-
ნონ ცნობები კვების პროდუქტების ათვისების შესახებ;

დ) სათანადო ღონისძიებანი განახორციელონ კვების ბლოკებ-
ში სანიმუშო სისუფთავისა და წესრივის დასამყარებლად. უზრუ-
ნველყონ ისინი გამდინარე ცხელი წყლითა და საჭირო ტექნიკური
მოწყობილობით, ინვენტარითა და ჭურჭლეულობით;

ე) აღსაზრდელთა კვების გამრავალფეროვნების, ახალი ხი-
ლითა და ბოსტნეულით უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რადიკა-
ლურად გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებ-
თან არსებული დამხმარე მეურნეობების მუშაობა.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა,
სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების
განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახ-
მარებით გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატებისა სა-
ბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურ-
სათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში არსებულ ნაკლოვანება-
თა გამოსასწორებლად;

ბ) პერიოდულად შეისწავლონ ინტერნატულ დაწესებულებებ-
ში აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფის მდგომარეობა, შემო-
წმების მასალები განიხილონ კოლეგიებისა და განათლების საბჭოების
სხდომებზე და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად
დასახონ ქმედითი ღონისძიებანი.

3. ეთხოვოს-საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და
ცეკავშირს ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სკოლა-ინტერნატე-
ბსა და საბავშვო სახლებს კვების პროდუქტებით მომარაგების
საქმეში

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართვე-
ლომ პერიოდულად შეისწავლოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავ-
შვო სახლების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსა-
ზრდელთა კვებით უზრუნველყოფის მდგომარეობა და მის შესა-
ხებ მოახსენოს კოლეგიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 4 აპრილის დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ, ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება

18 აპრილი, 1974 წ.

## XXII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგების, [illegible]თხე საკავშირო „პედაგოგიური კითხვების" და XXIII რესპუბლიკური კონფერენციისათვის მზადების შესახებ

XXII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია მეტი მომთხოვნელობის პირობებში, ორგანიზებულად და მაღალ მეცნიერულ-იდეურ დონეზე ჩატარდა.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-
რი ოლქის, ქ. თბილისის, ქ. ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა
რაიონებისა და ქალაქების ადგილობრივ „პედაგოგიურ კითხვებზე"
წაკითხულ იქნა 700 მდე მოხსენება, რომელთაგან XXII რესპუბლი-
კური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის შეირჩა 2000,
ხოლო კონფერენციის დღის წესრიგში შევიდა 686 მოხსენება.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კონფერენციაში სოფლის სკოლის მასწავლებელთა მონაწილეობა, მოხსენებათა ნახევარი წარმოდგენილია სოფლის სკოლებიდან.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები მიეძღვნა იმ ამოცანებს, რომლებიც სკოლისა და, საერთოდ, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების წინაშე დგას მიმდინარე მე-9 ხუთწლედში,
სერიოზული მსჯელობა გაიმართა ახალი პროგრამებით სწავლების,
საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელების, სწავლა-აღზრდის პროცესის გაუმჯობესების, მოსწავლეთა აქტივობისა და ცოდნის დონის ამაღლების, დაწყებითი განათლების, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის, მოსამზადებელი კლასების მუშაობის, შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და მოსწავლეთა პროფორიენტაციის, ფიზიკური აღზ-

რდის, მხატვრული აღზრდის, მოზრდილთა განათლების, სპეციალური სკოლების მუშაობის, სკოლა-ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის, პიონერულ-კომკავშირული, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისა და სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს პირველად შეიქმნა დაწყებითი კლასებში რუსული ენის სწავლების მეთოდიკისა და სასკოლო ბიბლიოთეკების სექციები, ხოლო დეფექტოლოგიის სექცია გაიყო 4 ქვესექციად.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. ზუგდიდის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, აბაშის, ამბროლაურის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, ხაშურის, ცაგერის, წყალტუბოს, ჩოხატაურის რაიონების სკოლებისა და განათლების ორგანოების მუშაკებმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური, უცხოური ენების, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეცნიერ-თანამშრომლებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და მეთოდისტებმა, განათლების სამინისტროს აპარატის მუშაკებმა.

საგრძნობლად გაძლიერდა ყურადღება პედაგოგიური კითხვებისადმი ქ. ჭიათურაში, ქ. გორში, ადიგენის, ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის, ქარელის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, წულუკიძის რაიონებში, რომლებიც ადრე პასიურობას იჩენდნენ. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ცალკეული სკოლები, რომლებმაც რესპუბლიკურ კონფერენციაზე ბევრი და მაღალხარისხოვანი მოხსენება წარმოადგინეს (მახარაძის მე-2, საგარეჯოს მე-2, თბილისის 55-ე, ხაშურის მე-3, რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლები და ბროწეულას სკოლა-ინტერნატი).

XXII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის დიდი მუშაობა გასწია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა, რომლის მეცნიერ-თანამშრომლებმა საჭირო დახმარება გაუწიეს მასწავლებლებსა და განათლების დარგის სხვა

მუშაკებს თემატიკის შერჩევასა და მოხსენებების მომზადებაში. ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის მომზადებასა და მუშაობაში საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ და მისმა სექციებმა.

კონფერენციის პლენარული სხდომები ჩატარდა პედაგოგის სასახლეში, რამაც შექმნა პირობა, მათ მუშაობაში მონაწილეობა მიეღო ქ. თბილისის სკოლების ბევრ მუშაკს. დასკვნით სხდომაზე მოსმენილ იქნა სექციების მიერ რეკომენდებული სამი საინტერესო მოხსენება.

მიუხედავად ამისა, კონფერენციის მუშაობაში ადგილი ჰქონდა ხარვეზებსაც: ამ ღონისძიებაში მონაწილეობა კვლავ არ მიუღიათ ასპინძის, ბოგდანოვკის, დმანისის, მარნეულის, მესტიის, წალკის რაიონების სკოლების მასწავლებლებს, საგრძნობლად შეასუსტეს მუშაობა და მოხსენებები არ გამოგზავნეს გეგეჭკორის, ლენტეხისა და ჩხოროწყუს რაიონებმა.

კვლავ დაუკმაყოფილებელი იყო ქ. თბილისის სკოლების მასწავლებელთა და ხელმძღვანელთა მონაწილეობა სექციების მუშაობაში.

ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტებს პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტისათვის წელსაც არ გამოუგზავნათ მოხსენებითი ბარათები ადგილებზე ჩატარებული კითხვების შედეგების შესახებ, ბევრმა დიდი დაგვიანებით გამოგზავნა კონფერენციისათვის რეკომენდებული მოხსენებები; რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში შემოსული ბევრი მოხსენება სათანადოდ არ იყო გაფორმებული.

კვლავ ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილებზე პედაგოგიური კითხვების სანიმუშო თემატიკას, რის გამოც ნაკლები დატვირთვით მუშაობდნენ პიონერული და კომკავშირული მუშაობის, ფიზიკური აღზრდისა და სასკოლო ჰიგიენის, რუსულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების, გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის, ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის სექციები. სექციებში წასაკითხად შერჩეული მოხსენებების სიმრავლის გამო მათი საფუძვლიანი განხილვა კონფერენციის მუშაობის პროცესში ძნელდება, ამიტომ აუცილებელია, განათლების სამინისტროს 1972 წლის 21 აპრილის № 250 ბრძანების შესაბამისად, მაქსიმალურად შემცირდეს განსახილველ მოხსენებათა რაოდენობა. ამავე დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე,

რომ უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივ „პედაგოგიურ კითხვებში“ მონაწილეთა მაქსიმალური მასობრიობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური „პედაგოგიური კითხვების“ მეოთხე საკავშირო „პედაგოგიური კითხვებისა“ და XXIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის სათანადოდ მომზადებისა და და ჩატარების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების შესაბამის განყოფილებებთან და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ადგილობრივ ფილიალებთან ერთად, აქედანვე გაშალონ ფართო მუშაობა 1975 და 1976 წლების იანვრის „პედაგოგიურ კითხვებში“ მასწავლებელთა მასობრივად ჩაბმის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული „პედაგოგიური კითხვების“, მეოთხე საკავშირო „პედაგოგიური კითხვებისა“ და XXIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების შემოქმედებითი ინიციატივისა და თაოსნობის განვითარებას, მათი გამოცდილების ანალიზსა და განზოგადებას;

2. იმასთან დაკავშირებით, რომ მეოთხე საკავშირო „პედაგოგიური კითხვები“ ეძღვნება პრობლემას „სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების თანამეგობრობა მოსწავლეებისა და ახალგაზრდების აღზრდის საქმეში“, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ პრობლემიდან გამომდინარე თემატიკის დამუშავებას;

3. გაზარდონ მომთხოვნელობა რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციებისა და საკავშირო კითხვებზე გასაგზავნი მოხსენებებისადმი.

4. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტმა:

ა) უახლოეს დროში გაამრავლოს და ადგილებზე დააგზავნოს მე-4 საკავშირო „პედაგოგიური კითხვების“ თემატიკა, უზრუნველყოს ადგილობრივ „პედაგოგიურ კითხვებში“ მასწავლებელთა მასობრივი მონაწილეობა;

ბ) სისტემატური და ქმედითი დახმარება გაუწიოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს „პედაგოგიური კითხვებისათვის“ მოხსენებების მაღალხარისხოვნად მომზადებაში, რესპუბლიკურ, საოლ-

ქო, საქალაქო და რაიონულ კითხვებზე მიავლინოს თავისი წარმო-
მადგენელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) კიდევ უფრო გაზარდოს მომთხოვნელობა მოხსენებებისადმი. მაქსიმალურად შეამციროს შერჩეული მოხსენებების რაოდენობა და უზრუნველყოს სექციებში მოხსენებათა ყოველმხრივი და საფუძვლიანი განხილვა;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მეოთხე საკავშირო „პედაგოგიური კითხვებისათვის“ მოხსენებათა შერჩევას, მათ სათანადო დამუშავებასა და საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტისათვის დროულად გადაგზავნას;

5. გაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ და მეთოდიკური ჟურნალების რედაქციებმა გამოაქვეყნონ მოწონებული მოხსენებები და სისტემატურად გააშუქონ მეოთხე საკავშირო „პედაგოგიური კითხვებისათვის“ აგრეთვე XXIII რესპუბლიკური კონფერენციისათვის მზადების მიმდინარეობა;

6. ასპინძის, ბოგდანოვკის, დმანისის, მარნეულის, მესტიის, წალკის, გეგეჭკორის, ლენტეხისა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. ს. მამუკაშვილს, ხ. თუმანიანს, მ. თაბაგარს, ი. გეიდაროვს, ნ. გუჯეჯიანს, ქ. მიქაძეს, შ. ცანავას, ჯ. ონიანს, ე. როდონაიას კონფერენციის მზადებასა და ჩატარებაში მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა ჩაბმის საქმისადმი არასაკმაო ყურადღებისათვის მიეთითოთ.

7. XXII რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებებისათვის დაჯილდოვდეს I ხარისხის დიპლომით—103 კაცი (იხ. დანართი № 1), II ხარისხის დიპლომით—234 კაცი (იხ. დანართი № 2), ხოლო კონფერენციის დანარჩენ მონაწილეებს გამოეცხადოთ მადლობა.

8. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა პედაგოგიური საზოგადოებისაგან მიღებული ტურისტული საგზურების განაწილებისას პირველ რიგში გაითვალისწინონ კონფერენციის აქტიური მონაწილეები.

9. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ჩემს მოადგილეს ამხ. კ. მაჭარაშვილს.

საქ. სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

## დაჯილდოვდნენ I ხარისხის დიპლომით

1. აბრამიშვილი ზ.—თელავის რაიონის რუისპირის სკოლის მასწავლებელი.

2. აბსავა დ.—ზუგდიდის მე-5 სკოლის დირექტორი,

3. ამირანაშვილი ნ.—თბილისის 57-ე სკოლის მასწავლებელი,

4. აფხაზავა ი.—ქობულეთის რ. ჩაქვის სკოლის დირექტორი,

5. ბაბალიკაშვილი ე.—თბილისის 68 ე სკოლის მასწავლებელი,

6. ბაბუხაძე თ.—თბილისის 58-ე სკოლის მასწავლებელი,

7. გაიგაჩევა პ.—სოხუმის № 1 ბაგა-ბაღის აღმზრდელი,

8. ბიწაძე ა.—თბილისის 47-ე სკოლის მასწავლებელი,

9. ბუაჩიძე ი.—ორჯონიკიძის რ. ფარცხნალის სკოლის მასწავლებელი,

19 ბუაძე ი.—რესპუბლიკური ექსპერიმენტული ბაგა-ბაღის აღმზრდელი,

11. ბერძკლა ი.—თბილისის საღამოს 23-ე სკოლის მასწავლებელი.

12. ბეჭულაძე ნ.—მახარაძის მე-2 სკოლის ბიბლიოთეკარი,

13. გაბისონია ლ.—სოხუმის მე-14 სკოლის მასწავლებელი,

14. ვერდელბერგი ლ.—ბათუმის მე-10 სკოლის მასწავლებელი,

15. გელაძე ლ.—თბილისის 1-ლი დამხმარე სკოლის პედაგოგი,

16. ძველავა მ.—რესპ. ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელი,

17. გიგინეიშვილი ე.—ოჩამჩირის მე-2 სკოლის მასწავლებელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. გლადჩენკო ნ.—ტყვარჩელის მე-4 სკოლის ბიბლიოთეკის გამგე,
19. გოგიტიძე ჯ.—თბილისის 55-ე სკოლის მასწავლებელი,
20. გოგიშვილი ნ.—თბილისის 43-ე სკოლის მასწავლებელი,
21. გოდერძიშვილი მ.—თბილისის მე-4 სკოლის მასწავლებელი,
22. გოზალოვა თ.—ცხინვალის მე-4 სკოლის მასწავლებელი,
23. გოლეთიანი რ.—ონის რ. ცხმორის 8 წლ. სკოლის მასწავლებელი,
24. გონდაური დ.—თბილისის 77-ე სკოლის მასწავლებელი,
25. გორბუნოვა ე.—გუდაუთის მე-4 სკოლის მასწავლებელი,
26. გოცირიძე გ.—ქუთაისის 24-ე სკოლის მასწავლებელი,
27. გოძიაშვილი ნ.—გურჯაანის რ. ველისციხის სკოლის მასწავლებელი,
28. გულდამაშვილი თ.—თბილისის 53-ე სკოლის მასწავლებელი,
29. ესართია ნ.—თბილისის რესპუბლიკური № 1 ბაგა-ბაღის გამგე,
30. ვასაძე მ.—ბათუმის საღამოს 1-ლი სკოლის მასწავლებელი,
31. ზედელაშვილი ლ.—თბილისის 55-ე სკოლის მასწავლებელი,
32. თაბაგარი ლ.—წითელწყაროს მე.2 სკოლის მასწავლებელი,
33. თელია მ.—თბილისის საღამოს მე-5 სკოლის მასწავლებელი,
34. თორდია ნ.—ცხაკაიას რ. ნოსირის სკოლის მასწავლებელი,
35. თოფურია კ.—თბილისის 154-ე სკოლის მასწავლებელი,
36. იშჩენკო ე.—სოხუმის მე-17 სკოლის მასწავლებელი,
37. კაიშაური ლ.—დუშეთის რ. ფასანაურის საბ. ბაღის აღმზრდელი,
38. კალანდაძე იზ.—ქუთაისის 33-ე სკოლის მასწავლებელი,
39. კაპანაძე გ.—ლაგოდეხის რ. ვარდისუბნის სკოლის მასწავლებელი,
40. კილაძე მ.—[illegible]რიწეულას სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. კიტეიშვილი გ.—რესპ. ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელი,

42. კოტრიკ ძე ლ.—თბილისის 141-ე სკოლის მასწავლებელი,

43. კოჭლაშვილი ნ.—გორის რ. ზერტის სკოლის მასწავლებელი,

44. კურტანიძე ა.—ორჯონიკიძის რ. მოლითის სკოლის მასწავლებელი,

45. კუხალეიშვილი ლ.—ოჩამჩირის მე-2 სკოლის მასწავლებელი,

46. ლაბახუა ლ.—სოხუმის მე-20 სკოლის მასწავლებელი,

47. ლალიძე ექ.—თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის პედაგოგი,

48. ლექავა მ.—სამტრედიის რ. დიდი ჯიხაიშის სკოლის მასწავლებელი,

49. ლომიძე ო.—თბილისის 55-ე სკოლის დირექტორი,

50. ლორია დ.—რესპ. ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელი,

51. მაზიაშვილი ე.—თბილისის 140-ე სკოლის მასწავლებელი,

52. მალაზონია ს.—ბათუმის საღამოს 1-ლი სკოლის დირექტორი,

53. მანაგაძე მ.—ქუთაისის 1-ლი სკოლის მასწავლებელი,

54. მანელიშვილი ფ.—ქობულეთის რ. ლეღვას სკოლის მასწავლებელი,

55. მანჯგალაძე ია—რესპ. ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელი,

56. მელაძე ლ.—წულუკიძის რ. მათხოჯის სკოლის დირექტორის მოადგილე,

57. მესხი მ.—ხაშურის მე-3 სკოლის მასწავლებელი,

58. მოდებაძე ზ.—ქუთაისის განათლების განყოფილების ინსპექტორი,

59. მონიავა ა.—თბილისის 1-ლი სკოლის მასწავლებელი,

60. მორუსოვა ი.—ტყვარჩელის მე-6 სკოლის მასწავლებელი,

61. მშვილდაძე ზ.—თბილისის 47-ე სკოლის მასწავლებელი,

62. ნადირაძე ქ.—ქუთაისის 21-ე სკოლის დირექტორი,

63. ნათიძე გ.—გურჯაანის რ. მელაანის სკოლის დირექტორი,

64. ნალბანდიანი მ.—თბილისის 25-ე სკოლის მასწავლებელი,

65. ნემსიწვერიძე ქ.—ამბროლაურის რ. ჩორჯოს სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

66. ნიკურაძე ნ.—ქუთაისის 21-ე სკოლის მასწავლებელი,

67. ოსიპოვი ლ.—მახარაძის საღამოს სკოლის დირექტორი,

68. პატარიძე ნ.—ქუთაისის რკინიგზის მე-11 სკოლის მასწავლებელი,

69. რაფავა გ.—სოხუმის მე-11 სკოლის მასწავლებელი,

70. რუხაძე იზ.—ქუთაისის მე 18 სკოლის მასწავლებელი,

71. სამიშვილი ნ.—რესპ. ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელი,

72. სამ[illegible]აი ა.—თბილისის 81-ე სკოლის მასწავლებელი,

73. სივცოვი ი.—თბილისის 31-ე სკოლის მასწავლებელი,

74. სინაურიძე დ.—ქუთაისის მე-9 სკოლის ბიბლიოთეკის გამგე,

75. სულავა ექ.—ქუთაისის მე-2 სკოლის მასწავლებელი,

